

თავი 17

მმართველობითი კონტროლი, პასუხისმგებლობის ცენტრები

1. ორგანიზაციული სტრუქტურა ძირითადად დამოკიდებულია:

- ა) ორგანიზაციის კულტურაზე;
- ბ) ორგანიზაციის სიდიდეზე;
- გ) დანახარჯების მოცულობაზე.

2. გამოყენებული კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი, გამოიყენება:

- ა) ინვესტიციების ცენტრის საქმიანობის ეფექტიანობის საზომად.
- ბ) დანახარჯთა ცენტრის შედეგების საზომად;
- გ) ინვესტიციების საქმიანობის შედეგების საზომად.

3. სარეკლამო კომპანიაში საწყობი შეიძლება იყოს:

- ა) დანახარჯთა ცენტრი;
- ბ) ინვესტიციების ცენტრი;
- გ) მოგების ცენტრი.

4. აღრიცხვა პასუხისმგებლობის ცენტრებში იყენებს:

- ა) მხოლოდ ფაქტიურ მონაცემებს;
- ბ) მხოლოდ დაგეგმილ მონაცემებს;
- გ) როგორც ფაქტიურ, ასევე დაგეგმილ მონაცემებს.

5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არის არასწორი მსჯელობა:

- ა) ყველა კონტროლირებადი დანახარჯი პირდაპირია;
- ბ) კონტროლირებადი დანახარჯები ყოველთვის არიან ცვლადი დანახარჯების იდენტური
- გ) ორივე პასუხი სწორია.

6. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი მსჯელობა:

- ა) გარდაუვალი დანახარჯი ყოველთვის კონტროლირებადია;
- ბ) გარდაუვალი დანახარჯი მოკლევადიან პერსპექტივაში კონტროლირებადია;
- გ) გარდაუვალი დანახარჯი გრძელვადიან პერსპექტივაში კონტროლირებადია.

7. დეცენტრალიზაცია შეიძლება განმარტოთ, როგორც:

- ა) უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილება მართვის სხვადასხვა დონეზე.
- ბ) არაკონტროლირებადი დანახარჯების კონტროლირებადად გარდაქმნის ერთ-ერთი გზა;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

8. რომელია სწორი მსჯელობა:

- ა) სტრატეგიული დაგეგმვა წინ უსწრებს მმართველობითი კონტროლის პროცესს;
- ბ) როგორც წესი, ბიუჯეტი გათვლილია მომდევნო წელზე, ხოლო პროგრამა რამოდენიმე წელზე;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

9. თვითღირებულების განსაზღვრის ბაზის შეცვლის გზით, შესაძლებელია:

- ა) დეცენტრალიზაცია;
- ბ) არაკონტროლირებადი დანახარჯების კონტროლირებადად გარდაქმნა;
- გ) მიღებულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის ხარისხის შეცვლა.

10. კვლევითი განყოფილება ორგანიზაციისთვის შეიძლება წარმოაგენდეს:

- ა) დანახარჯთა ცენტრს;
- ბ) მოგების ცენტრს;
- გ) ინვესტიციების ცენტრს.

11. ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება მივიჩნიოთ ნორმატულ დანახარჯად:

- ა) გარდაუვალი დანახარჯი;
- ბ) შეცვლადი დანახარჯი;
- გ) დადასტურებული დანახარჯი.

12. მოლოდინის თეორიის მიხედვით, მოტივაცია განისაზღვრება:

- ა) შედეგის მიმზიდველობით;
- ბ) მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებით;
- გ) ორივე მათგანით.

13. ჩამოთვლილთაგან, რომელია სოციალური კონტროლის მაგალითი:

- ა) ადამიანი “დამაჩქარებელი”-ს გავლენა;
- ბ) სტიმულირების სისტემა;
- გ) ორივე მათგანი.

14. მმართველობითი კონტროლის სისტემის მოწყობის კრიტერიუმს განსაზღვრავს:

- ა) სტიმულირების სისტემა ორგანიზაციაში;
- ბ) მენეჯერთა ფსიქოლოგიური ტიპები;
- გ) განსხვავება ორგანიზაციის და პირად მიზნებს შორის.

15. კომპანიაში დაგროვილი ინფორმაციით შედგენილი ანგარიშგება მოიცავს:

- ა) ბუღალტრულ ინფორმაციას;
- ბ) არაბუღალტრულ ინფორმაციას;
- გ) ორივე მათგანს;

16. ამოირჩიეთ სწორი მსჯელობა:

- ა) ყველა კონტროლირებადი დანახარჯი პირდაპირი დანახარჯია;
- ბ) ყველა პირდაპირი დანახარჯი კონტროლირებადია;
- გ) კონტროლირებადი დანახარჯები ყოველთვის ცვლადი დანახარჯების იდენტურია.

17. ორგანიზაციის მიზნების მახასიათებელია:

- ა) ეფექტურობა;
- ბ) შედეგობრიობა;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

18. ამოირჩიეთ სწორი მსჯელობა:

- ა) ყველა დანახარჯთა ცენტრს შეუძლია იყოს მოგების ცენტრი;
- ბ) ყველა მოგების ცენტრს შეუძლია იყოს დანახარჯთა ცენტრი;
- გ) ყველა მოგების ცენტრი ვერ იქნება დანახარჯთა ცენტრი;

19. სტრატეგიული დაგეგმვა:

- ა) მმართველობითი კონტროლის ეტაპია;
- ბ) წინ უსწრებს მმართველობითი კონტროლის პროცესს;
- გ) მმართველობითი კონტროლის შემდგომი ეტაპია.

20. დაგეგმვის პროცესს წარმოადგენს:

- ა) ბიუჯეტის შედგენა;
- ბ) პროგრამების მომზადება;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

21. მმართველობითი კონტროლი ეს არის :

- ა) ცოცხალი პროცესი, რომელიც იყენებს სტრატეგიული დაგეგმვის შედეგად განსაზღვრულ მიზნებს და გამოიყენება ამ სტრატეგიის ეფექტურად განხორციელებისათვის;
- ბ) პროცესი, რომელსაც შემსრულებელი თანამშრომლები ახორციელებენ მთლიანი სტრატეგიის რომელიმე კონკრეტული ნაწილის შესრულებისათვის;
- გ) ორივე პასუხი მართებულია.

22. ორგანიზაციის არსი :

- ა) ეს არის შენობა-ნეგებობებით, მანქანა-დანადგარებით და სხვადასხვა კომუნიკაციებით უზრუნველყოფილი გარემო, რომელიც ხელს უწყობს მართვის პროცესის ეფექტურად წარმართვას.
- ბ) ეს არის დასახული მიზნების მისაღწევად ურთიერთ შეთანხმებულად მომუშავე ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც ყავთ ლიდერი;
- გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

23. მმართველობითი აღრიცხვის წინაშე შეიძლება დადგეს შემდეგი მოთხოვნები:

- ა) საკანონმდებლო ორგანოების ინფორმაციული უზრუნველყოფა;
- ბ) მმართველობითი აღრიცხვის ელემენტები უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებსა და სამეწარმეო კანონმდებლობას;
- გ) მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაციები მუშავდება მხოლოდ შიდა მომხმარებლებისათვის, როგორცაა ორგანიზაციის მენეჯერთა კორპუსი და თანამშრომლები.

24. პასუხისმგებლობის ცენტრი ეს არის:

- ა) ბიზნესის ინდივიდუალური ნაწილი, რომლის მუშაობაზე და სამუშაოს შესრულების შედეგზე კონტროლს პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ ახორციელებს მენეჯერი;
- ბ) ბიზნესის სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელსაც აქვს შემაჯავლი რესურსი, განსაზღვრული აქტივები, ასევე გამოძავალი რესურსები;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

25. თუ პასუხისმგებლობის ცენტრის მიერ გამოშვებული პროდუქცია / მომსახურება გადაეცემა შიდა სხვა პასუხისმგებლობის ცენტს, მაშინ ბუღალტრული აღრიცხვა აღნიშნულ გადაცემას:
- ა) ზომავს როგორც შემოსავალს;
 - ბ) ზომავს ფულად ან არაფულად ფორმაში;
 - გ) არ ზომავს.
26. პასუხისმგებლობის ცენტრებში შემავალი და შემდგომში იქედან გამომავალი რესურსები მმართველობითი კონტროლის მიზნებისთვის მოცემული უნდა იქნეს:
- ა) მხოლოდ ფულად განზომილებაში;
 - ბ) მხოლოდ მატერიალურ-ნივთობრივ ფორმაში და განზომილებაში;
 - გ) როგორც ფულად, ისე მატერიალურ-ნივთობრივ განზომილებაში.
27. მმართველობითი აღრიცხვის სისტემა, რომელიც წარმოადგენს აღრიცხვას პასუხისმგებლობის ცენტრებში, ახდენს:
- ა) პასუხისმგებლობის ცენტრში შემავალ რესურსებზე ფაქტიური და დაგეგმილი აღრიცხვის ინფორმაციის დამუშავებას;
 - ბ) პასუხისმგებლობის ცენტრიდან გამომავალ რესურსებზე ფაქტიური და დაგეგმილი აღრიცხვის ინფორმაციის დამუშავებას.
 - გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
28. პასუხისმგებლობის ცენტრის საქმიანობის ეფექტურობა ნიშნავს:
- ა) პასუხისმგებლობის ცენტრში შემავალი ელემენტების მინიმალური ოდენობის გამოყენებას პროდუქციის დაგეგმილი მოცულობის წარმოებისათვის;
 - ბ) პასუხისმგებლობის ცენტრის მიერ პროდუქციის მაქსიმალურად შესაძლებელი მოცულობის წარმოებას შემავალი ელემენტების დაგეგმილი ოდენობით გამოყენებისას.
 - გ) ორივე პასუხი სწორია.
29. შემოსავლის ცენტრის მენეჯერი პასუხისმგებელია:
- ა) მიღწეულია თუ არა დაგეგმილი შედეგი რეალიზებული პროდუქციის/ მომსახურების ფულად განზომილებაში;
 - ბ) მიღწეულია თუ არა მინიმალური დანახარჯების პირობებში მაქსიმალური შედეგი გამოშვებული პროდუქციის/ მომსახურების ფულად განზომილებაში;
 - გ) მიღწეულია თუ არა მინიმალური დანახარჯი რეალიზებული პროდუქციის / მომსახურების მაქსიმალური ფულადი განზომილების პირობებში.
30. პასუხისმგებლობის ცენტრი, რომლის მენეჯერი პასუხისმგებელია მინიმალური დანახარჯების პირობებში მაქსიმალური შემოსავლის მიღებაზე არის:
- ა) დანახარჯთა ცენტრი;
 - ბ) მოგების ცენტრი;
 - გ) შემოსავლების ცენტრი.
31. მომავალში გენერალური ხელმძღვანელობისთვის მნიშვნეოვანი და საჭირო თვისებების შეძენისთვის და გამოცდილების მიღებისთვის ყველაზე კარგი საშუალებაა:
- ა) მოგების ცენტრის მენეჯერობა;

- ბ) შემოსავლების ცენტრის მენეჯერობა;
- გ) ინვესტიციების ცენტრის მენეჯერობა.

32. აღრიცხვა პასუხისმგებლობის ცენტრებში შეხებაშია რესურსების:

- ა) მხოლოდ დაგეგმილ მონაცემებთან;
- ბ) მხოლოდ ფაქტიურ მონაცემებთან;
- გ) როგორც ფაქტიურ ისე დაგეგმილ მონაცემებთან.

33. დანახარჯთა თვისობრივი მახასიათებელი კონტროლირებადი და არაკონტროლირებადი გამოიყენება:

- ა) პასუხისმგებლობის ცენტრებთან მიმართებაში;
- ბ) მთლიან ორგანიზაციასთან მიმართებაში;
- გ) თვით დანახარჯთა შიგა მახასიათებლებთან მიმართებაში.

34. მმართველობითი კონტროლის სისტემითვის არსებითია :

- ა) საერთოდ და ზოგადად კონტროლირებადია თუ არა დანახარჯი;
- ბ) თუ რომელი დანახარჯია კონკრეტული პასუხისმგებლობის ცენტრის კონტროლს დაქვემდებარებული;
- გ) მმართველობითი კონტროლისათვის დანახარჯების კონტროლირებადობა საერთოდ არ არის არსებითი.

35. პასუხისმგებლობის ცენტრის ირიბი დანახარჯი:

- ა) პასუხისმგებლობის ცენტრს პირდაპირ არ მიეკუთვნება, მაგრამ მათი გაკონტროლება შესაძლებელია თვით ამ ცენტრის მიერ;
- ბ) პასუხისმგებლობის ცენტრს პირდაპირ მიეკუთვნება: მაგრამ მათი გაკონტროლება აღნიშნული პასუხისმგებლობის ცენტრის მიერ არ ხდება;
- გ) პასუხისმგებლობის ცენტრის ირიბი დანახარჯები არ განიხილება არანაირ კონტექსტში პასუხისმგებლობის ცენტრთან მიმართებაში.

36. დეცენტრალიზებული ორგანიზაცია ითვალისწინებს, რომ :

- ა) დანახარჯების უმეტესი ნაწილი კონტროლირებადია მაღალი დონის მენეჯერის მიერ;
- ბ) დანახარჯების უმეტესი ნაწილი კონტროლირებადია დაბალი დონის მენეჯერების მიერ;
- გ) დეცენტრალიზებული ორგანიზაციის არსი არ ითვალისწინებს დანახარჯებზე პასუხისმგებლობის როლის გადანაწილების საკითხს მაღალი და დაბალი დონის მენეჯერებს შორის.

37. პურის უმაღლესი ხარისხის მიღებისთვის ერთ- ერთი აუცილებელი პირობა ტექნოლოგიის მითითებით არის ცხოვის დრო. დაუშვათ, რომ დროის დანახარჯი დანახარჯთა ცენტრისთვის ფულად განზომილებაში გაზომვადია. აღნიშნული დანახარჯი არის:

- ა) დადასტურებული დანახარჯი;
- ბ) შეცვლადი დანახარჯი;
- გ) გარდაუვალი დანახარჯი.